PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო „საბიბლიოთეკო საქმე“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა გახარია

წევრები:

მანანა მახარაშვილი

ინგა ბოჭოიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- [ ] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- [ ] საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება
- [ ] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება
  - [ ] **გეგმიური**
  - [ ] **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ ადგილის/ფართის ცვლილების თაობაზე, წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 7 ოქტომბერს გამოცემული № 1051498 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტის "ბ.ბ" და "ბ.დ" და ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტის "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

წარმოების მიზნებისთვის, ექსპერტთა ჯგუფმა, მიზანშეწონილად მიიჩნია ზოგიერთი დოკუმენტის ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლა. დაწესებულებამ, ცენტრის საშუალებით, უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების დამატებითი მოწოდება.

ექსპერტების ჯგუფმა წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, შეიმუშავა დღის წესრიგი ვიზიტის წარმართვისთვის, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 26 ოქტომბერს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორს, ხარისხის უზრუნველყოფასა და სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, ინტერვიუ შედგა პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ ზოგიერთ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს ახალ მისამართზე შენობის დათვალიერება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული ფართის, ასევე ბიბლიოთეკის ჩვენება.

დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას გეგმავს ბსუ-ს მე-6 კორპუსი, რომელიც განთავსებულია ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №15. კორპუსი ახალია და განსაზღვრულია მხოლოდ პროფესიული პროგრამებისთვის. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების შესაბამისად, რომლის მუხლი 87. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საავტორიზაციო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები“, განსაზღვრავს პირობებს ავტორიზაციის პერიოდში ფართის დამატებასთან დაკავშირებით, რაც ვიზიტის მომენტისთვის არ იყო განხორციელებული. შესაბამისად, ავტორიზაციის პირობების დაცვით ფართის დამატების შემთხვევაში და იმის გათვალისწინებით, რომ მე-6 კორპუსში არ იგეგმება აკადემიური პროგრამების განხორციელება, არ შეიქმნება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი. აკადემიური პერსონალის აკადემიურ და პროფესიული პროგრამებში დატვირთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საკითხები რეგულირდება საუნივერსიტეტო დონეზე და კონტროლდება სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა იმ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემები, რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ, არ დასტურდება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

ექსპერტების ჯგუფმა სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად და გასაუბრებაზე დაყრდნობით მოამზადა დასკვნის პროექტი. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებების დანართები, დასკვნის პროექტით გაცემულ, როგორც შესაბამისობის (12 ინდიკატორის ფარგლებში) ასევე განმავითარებელ (12 ინდიკატორის ფარგლებში) რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, შესაბამისობის რეკომენდაციებთან დაკავშირებით:

- ინდიკატორების 5.2.3-1,3, 4, 5, 6 მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა (03.12.21) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რაც აუმჯობესებს ექსპერტების შეფასებას და ნაცვლად „არ შეესაბამება“, გეგმის ვადის გათვალისწინებით - 6 თვე, ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება“;
- ინდიკატორის 5.2.1-3 შეფასება გაუმჯობესდა არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი განმარტებებითა და მტკიცებულებებით (მათ შრის ექსპერტებისთვის უცნობი დოკუმენტები);
- ინდიკატორების 5.2.2 - 1 და 2.2.1-4 შემთხვევაში წარმოდგენილია დაწესებულების მიერ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ გატარებული ღონისძიებების შედეგები, რომელიც ექსპერტების მიერ ვერ მიიღება მხედველობაში და არ არის გათვალისიწინებული დასკვნის ანალიზისა და შეფასების ნაწილში, ვინაიდან არ ასახავს ვიზიტის პერიოდის ფაქტობრივ მდგომარეობას.
- ინდიკატორების 5.1.1-2 და 2.4.2-1,2,4 შემთხვევაში თანდართული მტკიცებულებები ადასტურებს დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და შესაბამისად ვერ ცვლის ექსპერტების ჯგუფის შეფასებებს.

არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, განმავითარებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით:

ექსპერტთა შეფასებით, 5.1.1-7 და 5.2.2-1 ინდიკატორების და ნაწილობრივ 2.4.1-4 ინდიკატორის ფარგლებში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები ბათილდება, დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი იმ დოკუმენტების გათვალისწინებით, რომლებსაც ექსპერტები არ იცნობდნენ, თუმცა შექმნილია ექსპერტების ვიზიტის განხორციელებამდე და ეჭვქვეშ არ დგას მათი ნამდვილობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები		არ შეესაბამება

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

არ ფიქსირდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი 5

ინდიკატორი 5.1.1 2

ვინაიდან დაწესებულებაში არ არის შემუშავებული წესი/რეგულაცია/პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა, ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ინდიკატორი 5.2.2-1

შემოწმების შედეგების მიხედვით, პროგრამის განმახორციელებელი ყველა პირის მოწოდებულ პირად საქმეებში არ არის განთავსებული საქმისწარმოების ინსტრუქციის ჩამონათვალით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი.

სტანდარტი 2

ინდიკატორი 2.2.1 -4

პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში არსებული დოკუმენტებით არ დასტურდება დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია ან გამოცდილება, შესაბამისად, მის მიერ პროგრამის ხელმძღვანელისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება. ამგვარად, ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ინდიკატორი 2.4.2 -1,2,4

დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა და ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ცდომილებებით. ამგვარად, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის და ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 5

ინდიკატორი 5.1.1 2

ექსპერტების რეკომენდაციაა, ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებაში, შემუშავდეს რეგულაცია/წესი პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის მატერიალური რესურსების და საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობის და სარგებლობის პირობების შესახებ/შესაბამისი პირის სამუშაო აღწერილობა მოიცავდეს აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფის ვალდებულებას.

ინდიკატორი 5.1.2 -3

ექსპერტების რეკომენდაციაა, ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებაში, გეგმით გათვალიწინებული აქტივობები შესრულებული იქნას დადგენილ ვადებში.

ინდიკატორი 5.1.2 -4

ექსპერტების რეკომენდაციაა, ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებაში, გეგმით გათვალიწინებული აქტივობები შესრულებული იქნას დადგენილ ვადებში.

ინდიკატორი 5.2.2-1

ექსპერტების რეკომენდაციაა, ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებაში, გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს საქმისწარმოების ინსტრუქცია და პირადი საქმის შემადგენლობა კანონმდებლობასთან მიმართებაში; მოწესრიგდეს პირადი საქმეები დადგენილი რეგულაციის თანახმად და უზრუნველყოფილი იქნას აქტით დადგენილი გადაწყვეტილების შესრულება (მეორე აქტის გამოცემის თაობაზე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინდიკატორი 5.2.3-1,3,6

ექსპერტების რეკომენდაციაა, ინდიკატორების მოთხოვნებთან მიმართებაში, დაწესებულების მიერ შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის განხორციელების გზით, უზრუნველყოფილი იქნას ვებ გვერდზე განახლებული ინფორმაციის მარტივი ხელმისაწვდომობა და შემუშავდეს დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების და გამოყენების მიდგომები საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 5.2.3-4,5

ექსპერტების რეკომენდაციაა ინდიკატორების მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის განხორციელების გზით, უზრუნველყოფილი იქნას კატალოგის ცენტრის რეკომენდაციების მიხედვით შედგენა, ყოველწლიური განახლება და მისი დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობა.

სტანდარტი 2

ინდიკატორი 2.2.1 -4

ექსპერტების რეკომენდაციაა, დაწესებულებამ გადახედოს პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის მექანიზმს, მის მიმართ წაყენებული მოთხოვნებს და უზრუნველყოს ისეთი პირების დანიშვნა, რომელთა კვალიფიკაციით/სამუშაო გამოცდილებით ეჭვქვეშ არ დადგება მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების საკითხი.

ინდიკატორი 2.4.2 -1,2,4

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი საჭიროებს პროცესების - ვალიდაცია და ვერიფიკაცია გამიჯვნას; დასახვეწია შეფასების სისტემა (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 5.1.1-3

ექსპერტების რეკომენდაციაა, შემუშავდეს მექანიზმი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ/გაიწეროს პასუხისმგებელი პირის (შემსრულებელი, ზედამხედველი) სამუშაო აღწერილობები.

ინდიკატორი 5.1.2-1

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუმცა ექსპერტების მოსაზრებით, მნიშვნელოვანია დაცვისა და უსაფრთოხების სამსახურში დასაქმებული ყველა პოზიციისთვის გაწერილი იყოს სამუშაო აღწერილობა, ხოლო დაცვის თანამშრომლების მორიგეობის განრიგის დოკუმენტში მითითებული იქნას ობიექტის მისამართი.

ინდიკატორი 5.1.2-2

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებზე დაყრდნობით და ვიზუალური დათვალიერების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუმცა ექსპერტების მოსაზრებით, უმჯობესია პირველადი დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელ პირებისთვის გაიწეროს სამუშაო აღწერილობები (ვინაიდან ინსტრუქციაში გაწერილია ექიმი-თერაპევტის ფუნქციები, ხოლო დროებით დანიშნული პირები არ არიან კვალიფიკაციით ექიმ-თერაპევტები).

ინდიკატორი 5.2.1-3

შესაბამის რეგულაციებსა თუ სამუშაო აღწერილობებში ასახული იქნას დაწესებულების პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის დაცვის პრაქტიკა და მიდგომები (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი).

ინდიკატორი 5.2.1-4

დაწესებულებაში შემუშავებული სხვადასხვა რეგულაციებით და ინტერვიურებით დასტურდება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასების პრაქტიკა, თუმცა საკითხი რეგულაციებში წარმოდგენილია განზოგადებულად და უმჯობესია მეტი სიზუსტით იქნას აღწერილი/გამოკვეთილი/პროცედურულად აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტი 2

ინდიკატორი 2.2.1 -6

დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის მიხედვით, იკვეთება სსსმ პირების მიერ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ, მათი საჭიროებების მიხედვით ადაპტირებულ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა, თუმცა ექსპერტების შეფასებით, უმჯობესია წესი, მატერიალური და ადამიანური რესურსის ნაწილის მსგავსად, ითვალისწინებდეს სასწავლო რესურსების ადაპტირების შინაარსობრივი და ტექნიკური ცვლილებების საკითხებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელოდ. მოდულისთვის განსაზღვრული სასწავლო მასალის ალტერნატიული ვარიანტის შემუშავება - პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი, მისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალის შედგენის/რედაქტირების პრინციპები.

ინდიკატორი 2.4.1 -4

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მზაობა იკვეთება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამის პუნქტებში, თუმცა ექსპერტების მოსაზრებით, უმჯობესია ფორმალური განათლების აღიარების საკითხები ნათლად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად იქნას აღწერილი.

ინდიკატორი 2.4.2 -1,2,4

უმჯობესია განიმარტოს ბსუ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესით დადგენილი შეფასების ქულობრივი სისტემის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამის სისტემაზე - დადასტურდა/არ დადასტურდა გადაყვანის ჩანაწერი, საბოლოო შედეგების გამოსახვისთვის. გაიწეროს შეფასების შედეგების შინაარსობრივი და პროცედურული გასაჩივრების შემთხვევები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, დაწესებულებისთვის შემდეგი შემაჯამებელი რეკომენდაციის მიწოდება:

- დოკუმენტებში აისახოს ტერმინი „პროფესიული სტუდენტი“ (მაგ. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი; ბიბლიოთეკის დებულება);
- დოკუმენტებში მიეთითოს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მისამართი (მაგ. პირველადი დახმარების ინსტრუქცია; დაცვის თანამშრომლების განრიგი);
- პროფესიული სტუდენტების/პერსონალის კითხვარებში ინტეგრირდეს/შემუშავდეს კითხვარი ავტორიზაციის მე-5 სტანდარტით გათვალისწინებული პირობებისა და მომსახურების შეფასების შესახებ (მაგ. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა; IT მომსახურება) რათა მოხდეს საჭირო ინფორმაციის ამოღება და შედეგების ანალიზი შემდგომი გაუმჯობესებისთვის.
- რეგულაციები, სამუშაო დოკუმენტები და სამუშაო აღწერილობები გადაიხედოს სტანდარტების მოთხოვნებთან მიმართებაში ცენტრის ინტერესებიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრისთვის (შემდგომში ცენტრი) ქ. ბათუმში ლეონიძის ქუჩაზე (N15) მოეწყო ახალი შენობა. აღნიშნული ფართის უნივერისტეტის კანონიერ მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, წარმოდგენილი იქნება განაცხადით: უნივერსიტეტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ფართით სარგებლობის შესახებ, მოსარგებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

არსებობის ვადით. დოკუმენტი მომზადებულია 2021 წლის 16 აპრილს. ექსპერტების მიერ დამატებით გადამოწმდა და დადასტურდა დოკუმენტის ნამდვილობა.

აღნიშნულ მისამართზე განთავსებულია უნივერსიტეტის მოძრავი ქონება, რომლის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარედგინათ ექსპერტებს ვიზიტის პერიოდში: ბეჭდით დამოწმებული ბუღალტრული დოკუმენტაცია ქონების ბალანსზე არსებობის შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტებსა და ვიზიტის პერიოდში ვიზუალური დათვალიერების შედეგებზე დაყრდნობით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ცენტრისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი მოწყობილი/მომზადებულია სარგებლობისთვის. პროფესიული სტუდენტებისთვის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობას საკითხი დარეგულირებულია დაწესებულების რამდენიმე დოკუმენტში, მათ შორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთგვაროვანი ჩანაწერით პროფესიული სტუდენტების უფლებების ნაწილში: *„ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო რესურსებით.“*

დაწესებულების მიერ, არგუმინტირებული პოზიციის ფარგლებში, ზემოაღნიშნული 2 დოკუმენტისა გარდა წარმოდგენილი 7 სხვადასხვა მტკიცებულების - „წესდება“, „შინაგანაწესი“, „მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება, ,,ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქცია“, ,,ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქცია“, ,,ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წეს“ და ,,ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ - ჩანაწერები არ ეხმიანება ინდიკატორის მოთხოვნას, მით უფრო საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენების შესაძლებლობის საკითხს და ზოგადად არ გამოყოფს სარგებლობის წესსა და პირობებს, არამედ ახდენს პროფესიული სტუდენტების რესურსებით სარგებლობის მხოლოდ უფლების დეკლარირებას.

<u>ვინაიდან დაწესებულებაში არ არის შემუშავებული წესი/რეგულაცია/პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის ინფრასტრუქტურის, საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა, ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>ექსპერტების რეკომენდაციაა, ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებაში, შემუშავდეს რეგულაცია/წესი პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის მატერიალური რესურსების და საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობის და სარგებლობის პირობების შესახებ/შესაბამისი პირის სამუშაო აღწერილობა მოიცავდეს აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფის ვალდებულებას.</u>

3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება. დეპარტამენტის სტრუქტურაში შედის დასუფთავების განყოფილება, რომელისთვისაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ყველა ფართის დასუფთავება, მოვლასა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა. დებულებით განსაზღვრული დასუფთავების განყოფილებას ჰყავს რექტორის ბრძანებით დანიშნული უფროსი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ცენტრის დამლაგებელს. დამლაგებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და შეთანხმებები, უკანასკნელი 2021 წლის 30 სექტემბერის - ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გახანგრძლივების თაობაზე. დაწესებულების ექსპერტებს წარედგინათ მასალათა გაცემის (შიდა გადაადგილების) ზედნადები-მოთხოვნის დოკუმენტი სანიტარულ-ჰიგიენური საშულებების საწყობიდან განყოფილების უფროსის მიერ გატანის შესახებ.

   2021 წლის 8 აგვისტოს ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის 2021 წლის 4 თებერვალს განხორციელებული შემოწმების შედეგად, გაცემულია ჰიგიენური დასკვნა სანიტარულ-ჰიგიენური წესებისა და ნომრების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. დოკუმენტის თანახმადაც, არსებობს წყალმომარაგების და კანალიზაციის ცენტრალური სისტემა, მოწყობილია საკმარისი რაოდენობის სანიტარული კვანძები, ხელსაბანით და ჩამრეცხი მოწყობილობებით, მოქმედია გამწოვი ვენტილაცია. უზრუნველყოფილია თხევადი საპონი, სადეზინფექციო საშუალება, ნარჩენების შესაგროვებლად არსებობს საკმარისი რაოდენობის უკონტაქტო შემკრებები. დასალაგებელი ინვენტარი არის საკმარისი რაოდენობის, ასევე დაცულია ნიშანდება.

   შენობის სხვადასხვა სივრცეებში, მათ შორის სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, სველი წერტილებში გამოკრულია ხელების წყლით და საპნით დაბანის წესები.

   <u>ექსპერტების რეკომენდაციაა, გაიწეროს პასუხისმგებელი პირის (შემსრულებელი, ზედამხედველი) სამუშაო აღწერილობები/შემუშავდეს მექანიზმი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის პერიოდში ვიზუალური დათვალიერების შედეგების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. ცენტრი აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით, შენობაში უზრუნველყოფილია სეზონისთვის შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმი. ექსპერტებს წარედგინათ ელექტრო-ენერგიის ხარჯის დაფარვის დოკუმენტები.

   წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით შექმნილია ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეული „შრომის უსაფრთხოების სამსახური“ და დამტკიცებულია შესაბამისი დებულება. სამსახურის ამოცანად განსაზღვრულია დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების სამუშაოს უარყოფითი ფაქტორებისგან დაცვის ისეთი სისტემის შექმნა და აღსრულება, რომელიც ქმნის ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობის პირობებს და მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს.

   სამსახურის პერსონალს შეადგენს სამსახურის უფროსი (შრომის უსაფრთხოების მენეჯერი) და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები. დებულების თანახმად, სამსახურში დასაქმებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოსამზადებელი პროგრამის სერტიფიცირებული კურსდამთავრებული.

   დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, უნივერსიტეტს ჰყავს 3 სერთიფიცირებული სპეციალისტი, რომელთა საქმიანობის განხორციელების არეალი მოიცავს უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ ყველა ფართში, სამუშაო სივრცეში კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას. თუმცა დამატებით, ცენტრის მისართზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 20 ოქტომბრის N01-12/59 ბრძანებით ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს დროებით დაეკისრა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქციების შესრულება, საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის კი ბსუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილებასთან თანამშრომლობა დაევალა. აღნიშნულ პირზე 2021 წელს “Education Center”-მიერ (წითელი ჯვარი და UNDP) გაცემულია სერტიფიკატი ტრენინგში „უსაფრთხოების ნორმების პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებაში“ მონაწილეობისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
გასაუბრებაზე დაყრდნობით და წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანებით (უკანასკნელი ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 09 ივნისის N N01-02/56 ბრძანებით) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-16 მუხლით განსაზღვრულია სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვა და გამოყენების წესი, მე-17 მუხლით - სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი, ხოლო მე-18 მუხლით - ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი, რომელთა თანახმად, პროგრამის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, ცენტრი ვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნა წარადგინოს შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 თვისა, ხოლო ცენტრს გადასცემს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, მიღება ჩაბარების აქტით. მოდულის დასრულებისას ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება და საჭიროების შემთხვევაში გაუხარჯავი მასალებისა და ნედლეულის დაბრუნება დეპარტამენტისთვის.

ამასთან დადგენილია, რომ სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი შემქმნელების იდენტიფიკაცია. ტესტები, პროექტები, დაკვირვების ფორმები, ელექტრული მასალები, ნახატები მაკეტები და სხვა ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში, შემდეგ კი ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანთლებლო მიზნებისთვის, ან გამოიყენება საქველმოქმედო მიზნებისთვის. შესაძლებელია სხვაგვარი განკარგვა მხოლოდ სანიტარიულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულის კონტროლი ეკისრება ცენტრს. განადგურებასთან დაკავშირებით წესი განმარტავს, რომ ეყრდნობა სახელმწიფო ორგანოების მიერ ნარჩენების უტილიზაციის წესებს, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში ანადგურებს იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას გარემოს და გარშემომყოფ პირებს. ნარჩენების შეგროვებასა და უტილიზაციის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებლებს, რომელიც განადგურების შესახებ ინფომრაციას ასახვას სამსახურებრივ ბარათში. განადგურების პროცესში შესაძლებელია პროფესიული სტუდენტების მონაწილეობა.

ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, დასტურდება მასალების მოთხოვნის, მიღებისა და გამოყენების პრაქტიკა.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 29 ნოემბერის N01-02/198 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. დოკუმენტი ეყრდნობა ხარისხის მართვის „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე“ მოდელს და გულისხმობს პროგრამების ეფექტურად განხორციელებისთვის შესაბამისი ეტაპების გათვალისწინებით ღონისძიებების გატარებას, მათ შორის საჭირო რესურსების განსაზღვრას.

ასევე, რექტორის 2021 წლის 22 ოქტომბრის N01-10/92 ბრძანებით დამტკიცებულია „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები“. დოკუმენტის მიხედვით, ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორთან ერთად *„მონიტორინგს უწევს ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების პროფესიული განათლების სტანდარტებთან შესაბამისობას და ახდენს მათ შეფასებას“.*

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულების მიხედვით, დეპარტამენტის ფუნქციებს შორის განსაზღვრულია მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობის მოვლა-პატრონობა და დაცვა, ასევე *„უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ამორტიზირებული ან/და ექსპლუატაციისთვის უვარგისი, ჩამოსაწერი ქონების ნუსხის შედგენა და შესაბამისი ინფორმაციის (წინადადებების) ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის წარდგენა“.*

არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში დაწესებულების მიერ მოწოდებული იქნა ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი (აღნიშნული დოკუმენტი არ იყო ცნობილი ექსპერტებისთვის ვიზიტის ფარგლებში), რომლის მე-7 მუხლის („სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასება და სრულყოფა“) 1-ლი პუნქტის თანახმად: „სასწავლო რესურსების და სერვისების შეფასებისათვის გამოიყენება ინფორმაციის *სისტემატიური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვები, რომელიც მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეების, რესურსების (საბიბლიოთეკო რესურსები, საუდიტორიო და ლაბორატორიული სივრცეები, კლინიკები, პრაქტიკის ობიექტები, კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული სერვისები, ჰიგიენური ნორმები, სტუდენტთა თავისუფალი სივრცე, კვების ობიექტი, საერთო საცხოვრებელი)... შეფასებას.“* ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: *,,სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასებაზე პასუხისმგებელია მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრი, ფაკულტეტები, სამეცნიერო კვლევების სამსახური და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეიმუშავებენ რეკომენდაციებს შესაბამისი რესურსების, სერვისების სრულყოფის მიზნით. ინფორმაციას წარუდგენენ რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.“*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2021 წლის სამოქმედო გეგმის ამოცანა 1.2.1 მოიცავს *„საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება“* საკითხს იანვარი-აპრილი და აგვისტო-სექტემბრის პერიოდში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. ცენტრის შენობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, მეორე სართულზე - გოგონებისთვის, ბიჭებისთვის და შშმ პირებისთვის, მესამე სართულზე მხოლოდ შშმ პირებისთვის - შენობის ორივე მხარეს თითო წერტილი. საპირფარეშოები მუდმივად მარაგდება წყლით, თუმცა ობიექტი საჭიროებს სარემონტო სამუშაოების სრულყოფას/განახლებას ნესტით გამოწვეული უწესივრობების აღმოფხვრის მიზნით. ასევე აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. დამატებით მასალებში დაწესებულებამ წარმოადგინა გასული რამდენიმე თვის წყალმომარაგების გადახდის დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტებსა და ვიზიტის პერიოდში ვიზუალური დათვალიერების შედეგებზე დაყრდნობით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

9. ცენტრის შენობის დათვალიერებით დასტურდება, რომ ყველა სასწავლო ფართსა და ბიბლიოთეკაში არის როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. შესაბამისად, შექმნილია შრომისა და სწავლის ადეკვატური გარემო. დამატებით მოწოდებულ მასალებში დაწესებულებამ წარმოადგინა გასული რამდენიმე თვის ელექტროენერგიის გადახდის დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტებსა და ვიზიტის პერიოდში ვიზუალური დათვალიერების შედეგებზე დაყრდნობით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

10. ცენტრის სივრცეებთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შევსებული ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ.

    შენობის დათვალიერებით დასტურდება სასწავლო და ადმინისტრაციული გარემოს, ბიბლიოთეკის, სათავსოებისა და სხვა სივრცეების განლაგების ადეკვატურობა, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვის. შენობის მეორე და მესამე სართულებს აქვს კეთილმოწყობილი ფოიე. შენობის მესამე სართულზე მოწყობილია სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის. ეზოს ტერიტორია ჯერჯერობით არ არის შემოსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და კეთილმოწყობილი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, უახლოს მომავალში იგეგმება ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობა.

წარმოდგენილი დოკუმენტისა და ვიზიტის პერიოდში ვიზუალური დათვალიერების შედეგებზე დაყრდნობით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

11. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 25 თებერვლის N01-11/16 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, ხოლო „ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N07 გადაწყვეტილებით - უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დებულება, ხოლო 2016 წლის 25 თებერვლის N01-11/16 ბრძანებით - ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკის დარბაზში და რომლის მიხედვითაც გაწერილია წიგნადი ფონდით და კომპიუტერული ტექნიკით, ელექტრონული რესურსებით სარგებლობის უფლებები, პირობები და ვადები.

    დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული სტუდენტების კითხვარი მოიცავს ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასებას - შეკითხვა *„20. მასწავლებელი გვითითებს შესაბამის ლიტერატურას, ელექტრონულ რესურსებს, რაც მოიპოვება ბიბლიოთეკაში“*, ასევე განმახორციელებლების კითხვარში შეტანილია შეკითხვა *„27. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები)*

    წარმოდგენილი დოკუმენტებსა და ვიზიტის პერიოდში ვიზუალური დათვალიერების შედეგებზე დაყრდნობით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, დასტურდება საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომის შეუზღუდავი შესაძლებლობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. ბუღალტრული დოკუმენტაცია;
3. პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
4. დამლაგებელთან გაფორმებული ხელშეკრულება და შეთანხმებები;
5. დასუფთავების განყოფილების უფროსის დანიშვნის აქტი;
6. ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის ჰიგიენური დასკვნა;
7. შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

8. ტრენინგში მონაწილეობის სერტიფიკატი;
9. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქციების დაკისრების შესახებ აქტი;
10. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
11. ჰიგიენის საწყობიდან გატანის დოკუმენტაცია;
12. ელექტროენერგიის გადახდის ქვითრები
13. შენობის აზომვითი ნახაზი;
14. შევსებული ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ;
15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
16. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები.
17. მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება;
18. ბიბლიოთეკის დებულება;
19. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
20. ,,ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და 2021 წლის სამოქმედო გეგმა;
21. ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
22. გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება, რომლის სტრუქტურაში შედის დაცვისა და უსაფრთოხების განყოფილება, მის ფუნქციად განსაზღვრულია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 5 სექტემბერის N02-05/09 ბრძანებით კ.ჭ. დანიშნულია მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსის პოზიციაზე. ცენტრის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნებისთვის, რექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის N01-12/125 ბრძანებით ი.ი. აყვანილია ამავე სამსახურის თანამშრომლად, ხოლო ზ.ფ-თან 2021 წლის 16 ივლისს გაფორმებულია ხელშეკრულება N02-10/32 ზემოხსენებულ სამსახურის ფარგლებში დაცვის თანამშრომლის ფუნქციების შესარულების თაობაზე. ამასთან, ექსპერტებს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსის მიერ წარედგინათ თვეების მიხედვით წარმოებული მორიგეობის განრიგი.

   <u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუმცა ექსპერტების მოსაზრებით, მნიშვნელოვანია დაცვისა და უსაფრთოხების სამსახურში დასაქმებული ყველა პოზიციისთვის გაწერილი იყოს სამუშაო აღწერილობა, ხოლო დაცვის თანამშრომლების მორიგეობის განრიგის დოკუმენტში მითითებული იქნას ობიექტის მისამართი.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 2 დეკემბრის N01-11/79 ბრძანებით დამტკიცებულია „ბსუ ტერიტორიაზე პირველადი სამეცადინო დახმარების მიღების ინსტრუქცია“. ასევე, რექტორის 2013 წლის 11 იანვრის N02-05/03 ბრძანებით ე.ჯ. დანიშნულია ექიმ-თერაპევტად ბსუ-ს სტუდენტთა მომსახურების და მხარდაჭერის სამსახურში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 20 ოქტომბრის N01-12/59 ბრძანებით ცენტრის ხარისხის მართვის კოორდინატორს დროებით დაკისრებული აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის ფუნქციების შესრულება და ევალება ბსუ-ს სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელთან თანამშრომლობა, საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის. ხარისხის მართვის კოორდინატორს და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, 2020 წელს, გავლილი აქვთ პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი, რომლის მოქმედების ვადა იწურება 2022 წლის 9 თებერვალს.

ცენტრის შენობის მესამე სართულზე, პანდემიის გათვალისწინებით, განთავსებულია ე.წ. საიზოლაციო ოთახი, ხოლო სამედიცინო ოთახი - შენობის მოპირდაპირე მხარეს საერთო საცხოვრებელში.

<u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებზე დაყრდნობით და ვიზუალური დათვალიერების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუმცა ექსპერტების მოსაზრებით, უმჯობესია პირველადი დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელ პირებისთვის გაიწეროს სამუშაო აღწერილობები (ვინაიდან ინსტრუქციაში გაწერილია ექიმი-თერაპევტის ფუნქციები, ხოლო დროებით დანიშნული პირები არ არიან კვალიფიკაციით ექიმ-თერაპევტები).</u>

3. დაწესებულებამ დამატებით გამოგზავნილ მასალებში, წარმოადგინა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და საევაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 6 ნოემბერის N01-11/89 ბრძანება, რომელშიც რექტორის 2021 წლის 15 სექტემბერის ბრძანებით შესულია ცვლილება და დამატებულია ცენტრის მისმართი, თუმცა <u>საევაკუაციო გეგმა არ მოიცავს ცენტრის მისამართს</u>. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ცენტრის მეშვეობით, წარმოადგინა რექტორის 2021 წლის 21 ოქტომბერს N01-10/90 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, სადაც იდენტიფიცირებულია სტანდარტთან მეტწილი შესაბამისობა, განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, პასუხისმგებელი სტრუქტურა (ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახური) და შემსრულებელი, ასევე მითითებულია დაფინანსების წყარო და ოდენობა. სამუშაოების დასრულება ნავარაუდევია 2021 წლის 31 დეკემბერს. გეგმის თანხმად, შეძენილია საპროექტო დოკუმენტაცია და მიმდინარეობს სატენდერო წინადადების მომზადება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შენობის სართულებზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების რეაგირების ზოგადი წესები, რომელიც მოიცავს ხანძრის შემთხვევაში განრიდების და ცეცხლთან შებრძოლების ზოგად წესებს.

<u>დაწესებულების მიერ, შენობის ცეცხლდაცვის სისტემის სრულად გამართვის მიზნით, შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.</u>

<u>ექსპერტების რეკომენდაციაა, ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებაში, გეგმით გათვალიწინებული აქტივობები შესრულებული იქნას დადგენილ ვადებში.</u>

4. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N0 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება, რომლის სტრუქტურაში შედის დაცვისა და უსაფრთოხების განყოფილება, ხოლო ფუნქციად განსაზღვრულია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

   უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ცენტრის მეშვეობით, წარმოადგინა რექტორის 2021 წლის 21 ოქტომბერს N01-10/90 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, სადაც იდენტიფიცირებულია სტანდარტთან მეტწილი შესაბამისობა, განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, პასუხისმგებელი სტრუქტურა (ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახური) და შემსრულებელი, ასევე მითითებულია დაფინანსების წყარო და ოდენობა. სამუშაოების დასრულება ნავარაუდევია 2022 წლის 15 თებერვალს. გეგმის თანხმად, 11 ოქტომბერს, ტექნიკური ხარვეზის გამო შეწყვეტილი იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ტენდერი. ამჟამად, მიმდინარეობს ბაზრის კვლევა და სატენდერო წინადადების მომზადება.

<u>დაწესებულების მიერ, შენობის უსაფრთხოების კამერებით აღჭურვის მიზნით, შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.</u>

<u>ექსპერტების რეკომენდაციაა, ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებაში, გეგმით გათვალიწინებული აქტივობები შესრულებული იქნას დადგენილ ვადებში.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება;
2. მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსის დანიშვნის აქტი;
3. დაცვის თანამშრომლის დანიშვნის აქტი;
4. დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
5. პირველადი სამეცადინო დახმარების მიღების ინსტრუქცია;
6. აქტი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის ფუნქციების დაკისრების შესახებ;
7. პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგის გავლის სერთიფიკატები;
8. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და საევაკუაციო გეგმის დამტკიცების და ცვლილების შეტანის შესახებ აქტები;
9. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
10. ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
11. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ დამატებით მასალებში წარმოადგინა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 14 ივნისის N01-11/47 ბრძანების (უკანასკნელი ცვლილება 2018 წლის 26 მარტის N01-1134 ბრძანებით) დანართი 1-ით დამტკიცებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი, რომელიც მე-3 მუხლში - „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და ხელმისაწვდომობა“, ითვალისწინებს ტექნიკური აღჭურვილობის, პროგრამული უზრუნველყოფის ჩამონათვალს და მათი და ინტერნეტის, (უკაბელო უპაროლო) ხელმისაწვდომობის ადგილებსა და წვდომაზე უფლებამოსილ პირებს.

   ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები (ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებ გვერდის ადმინისტრირების წესის მე-5 მუხლი) მოიცავს სერვერების, კომპიუტერული ტექნიკის, ინტერნეტის, პროგრამული უზრუნველყოფის, სამუშაოზე გამოცხადების სისტემის, ვიდეო-სათვალთვალო სისტემის, ტექნიკური და პროგრამული დაზიანებების შემთხვევებს მართვას და ვებ გვერდის ადმინისტრირებას.

   წარმოდგენილი რეგულაციების შესწავლისა და ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ IT ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისი N09 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულებით დადგენილია სამსახურის ფუნქციები, მათ შორის: სერვერების გამართული ფუნქციონირება და უსაფრთხოება, მონაცემთა ბაზების და ბიბლიოთეკის ადმინისტრირების მხარდაჭერა, IT ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა, კრიტიკული სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფა, რომელთა შესრულების მიზნით სამსახური დაკომპლექტებულია სამსახურის უფროსით, მთავარი სპეციალისტებითა და სპეციალისტებით. დაწესებულების რექტორის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/409 ბრძანებით დამტკიცებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობები. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესის მე-7 მუხლით - ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა, გაწერილია პრევენციული ღონისძიებების ნუსხა, მათ შორის ტექნიკის დაცვა, აუცილებელი ინფორმაციის შენახვისა და დაცვის უზრუნველყოფა, კრიტიკულ სტრუქტურებში ინფორმაციის რეზერვაცია სერვერზე და ინტერნეტ სივრცეში, ასევე ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ სწავლების/ტრენინგების ჩატარება. აღნიშნულის შესრულების მიზნით, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი ვალდებულებები.

   დაწესებულებისგან მოწოდებული წერილობითი განმარტების თანახმად, უნივერსიტეტი იყენებს ლიცენზირებულ ანტივირუსს ESET Dynamic Endpoint Protection და windows-ში ჩაშენებულ უფასო დაცვის სისტემას Microsoft Security Essentials defender. თუმცა 2020 წლის 24 იანვარს შპს „სოფთლაინ საქართველოსთან“ გაფორმებულია სახელწმიფო შესყიდვის ხელშეკრულება ანტივირუსის კომპიუტერული პროგრამული პაკეტის 400 მომხმარებელზე <u>1 წლიანი ლიცენზიის</u> შესახებ. ვიზიტის დროს ლიცენზიის ვადის გაგრძელების თაობაზე დოკუმენტი დაწესებულებას არ წამოუდგენია. აღსანიშნავია, რომ IT რისკების პრევენცია ხორციელდება რეგულაციებით გათვალისწინებული და დაცვის უფასო სისტემის მეშვეობით, შესაბამისად, აღნიშნული არ იწვევს ინდიკატორის მოთხოვნების დარღვევას.

3. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პერსონალური მონაცემების დაცვა უნივერსიტეტში პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონით რეგულირდება. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი ითვალისწინებს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მუშაობის აღწერას, სადაც მითითებულია ჩანაწერის ნახვაზე უფლებამოსილი პირები და განმარტებულია, რომ მათი *„უფლებამოსილება/ფუნქცია უნდა განხორციელდეს პერსონალურ მონაცემთან დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით“.* ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ ექსპერტებს წერილობით განემარტათ პერსონალური მონაცემების დაცვის ფარგლებში უნივერსიტეტში გავრცელებული მიდგომების შესახებ: *„ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების დროს ხდება პერსონალური მონაცემების წაშლა (ტექსტური ფაილების შემთხვევაში) ან დამალვა (დასკანერებული ფაილების შემთხვევაში); პერსონალური ინფორმაციის გავრცელების აღმოჩენის შემთხვევაში ხდება გავრცელების წყაროს მოძიება (კონკრეტული ბმულის, ფაილის, ბაზაში*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ჩანაწერის, საიდანაც ხდება ინფორმაციის გამოტანა) და ამ ინფორმაციის კორექტირება“ - თუმცა ეს განმარტებები ან/და სხვა მიდგომები არ არის შეტანილი რომელიმე წესსა თუ რეგულაციაში ან და სამუშაო აღწერილობაში.

პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშში მითითებულია *„პროფესიული სტუდენტი ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ დამუშავდეს ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის და ბსუ-ს სასწავლო პროცესის სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.“*

პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომით ხელშეკრულებაში (რექტორის 2019 წლის 4 მარტის N01-02/31 ბრძანებით დამტკიცებული ფორმა) დამსაქმებლის მხარეს შეტანილი უფლება *„დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან/და უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებებიდან გამომდინარე“.* შრომითი ხელშეკრულების 2.2. პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტი კი ავალდებულებს დასაქმებულს გაეცნოს და შეასრულოს დაწესებულების რეგულაციები, მათ შორის საქმისწარმოების წესი, რომლის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაა: *,,დასაქმებულის პირად საქმეში არსებული მონაცემებიდან ყოველწლიურად განახლებას ექვემდებარება დასაქმებულის ავტობიოგრაფია (CV), საკონტაქტო მონაცემები. აღნიშნული ინფორმაცია დასაქმებულის მიერ ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ცვლილებისთანავე (3 სამუშაო დღის ვადაში) მის პირად საქმეში და ასევე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განსათავსებლად.“*

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი 2021 წლის 22 ოქტომბრის N01-02/187 ბრძანებით დამტკიცებული "ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის" მე-4 მუხლის (ელექტრონული სწავლების პროცესში ბსუ-ს პერსონალისა და სტუდენტების უფლება-მოვალეობები) მე-3 პუნქტის მიხედვით "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევების პრევენციისთვის, შესაბამისი წარმომადგენლები, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების აღსრულებისთვის საქართველოს კანონმდებლობის და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების და მოცმული წესის აღსრულების მონიტორინგს. ხსენებულ წესს თან ერთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ.

ამგვარად, იკვეთება ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისი გარკვეული მექანიზმის არსებობა, თუმცა *ზემოაღნიშნული რეგულაციების ჩანაწერები ძირითადად დამსაქმებლის უფლებების დეკლარირებას ახდენს და ნაკლებად ასახავს დაწესებულების მიერ კანონმდებლობის დაცვის მიდგომებსა და პირობებს, თუ რა სისტემა მოქმედებს, არა მხოლოდ პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა პერსონალური*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების, არამედ მისი დაცვის თვალსაზრისით, რა უფლებები/არჩევანი აქვს სუბიექტს, როგორ მოქმედებს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი (მაგალითად, როგორც წერილობით მოწოდებული განმარტებებშია მითითებული მონაცემების დაშიფვრა და სხვა). შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, უმჯობესია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების/შესაბამისი მარეგულირებელი აქტების/სამუშაო აღწერილობების ჩანაწერები გამოკვეთდეს მექანიზმის მუშაობის პრინციპებს და იძლეოდეს სუბიექტის მიერ მისი მონაცემების დამუშავების შესახებ არჩევნის გაკეთების ან/და არჩევანის შეცვლის შესაძლებლობას. ამასთან გათვალისწინებული იქნას პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონის ცალკეული შემთხვევების მოთხოვნები ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ფუნქციონირებასთან და დისტანციური სწავლების რეჟიმში სალექციო პროცესის ჩანაწერის შენახვა-გავრცელებასთან დაკავშირებით.

4. უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 22 ოქტომბრის N01-10/92 ბრძანებით დამტკიცებულია „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები“. დოკუმენტის მიხედვით, ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორთან ერთად *„მონიტორინგს უწევს ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების პროფესიული განათლების სტანდარტებთან შესაბამისობას და ახდენს მათ შეფასებას“.*

   დაწესებულების რექტორის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/409 ბრძანებით დამტკიცებული საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობების დოკუმენტით, სამსახურის უფროსი, მთავარი სპეციალისტები და სპეციალისტები იღებენ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების IT მხარდაჭერის ვალდებულებას, რაც სხვა აქტივობებს შორის მოიცავს აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფას, კომპიუტერული ქსელური ინფრასტრუქტურის მონიტორინგს.

   <u>დაწესებულებაში შემუშავებული სხვადასხვა რეგულაციებით და ინტერვიურებით დასტურდება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასების პრაქტიკა, თუმცა საკითხი რეგულაციებში წარმოდგენილია განზოგადებულად და უმჯობესია მეტი სიზუსტით იქნას აღწერილი/გამოკვეთილი/პროცედურულად აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სახით.</u>

5. ექსპერტებს მიეწოდათ 2021 წლის 29 იანვარს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შპას „Georgianairlink”-თან გაფორმებული, 2022 წლის 10 თებერვლამდე მოქმედი, ხელშეკრულება, უწყვეტი ინტერნეტ მომსახურების შეძენის შესახებ, რომლის დანართით გათვალიწინებულ ობიექტებში შეტანილია ცენტრის მისამართი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების რექტორის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/409 ბრძანებით დამტკიცებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობები სამსახურის უფროსის, მთავარი სპეციალისტებისა და სპეციალისტებისთვის. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი დასაქმებულების მიერ შესასრულებელი სამუშაოები მიმართულებების მიხედვით. დაწესებულების განმარტებით, ცენტრს ამჟამად ემსახურება უნივერსიტეტის IT სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი (ვიზიტს პერიოდში იმყოფებოდა შენობაში), მოლაპარაკება მიმდინარეობს ცენტრის მისამართზე პირის მიმაგრების თაობაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, დასტურდება ინტერნეტწვდომის შეუზღუდაობა და ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენის შესაძლებლობა.

6. დაწესებულებამ დამატებით მასალებში წარმოადგინა 2020 წლის 13 ნოემბრის შესყიდვის შესახებ, ა(ა)იპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენასთან“ გაფორმებული N118 და N119 ხელშეკრულებები, რომლითაც უზრუნველყოფილია ინტერნეტის საერთაშორისო ქსელში bsu.ge და bsu.edu.ge დომენების რეგისტრაცია და აქტიური სტატუსის ქონა 2021 წლის 7 დეკემბერის ჩათვლით.

   უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 16 თებერვლის N01-08/6 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ინსტრუქციის (უკანასკნელი ცვლილება 2021 წლის 23 ივლისის N01-02/123 ბრძანება) 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულებაში დასაქმებული ვალდებულია საქმისწარმოებისას იხელმძღვანელოს აღნიშნული ინსტრუქციით და სამუშაო დღის განმავლობაში ერთხელ მაინც გაეცნოს (შეამოწმოს შემოსული შეტყობინება/სამსახურებრივი დავალება/სამართლებრივი აქტები) ელექტრონულ საქმისწარმოებაში - eFlow.emis.ge-ს ბაზაში რეგისტრირებულ საკუთარ გვერდს (მომხმარებელი), ასევე, საქმიანი მიმოწერისათვის განსაზღვრულ ელექტრონულ მისამართს.

   დაწესებულების დომენით პერსონალისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის ამოქმედებულია ელ. ფოსტის მისამართები, შექმნილია კორპორატიული ელექტრონული ფოსტა და ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის IT სამსახურის მოვალეობაში შედის სასწავლო პროცესის მართვის ელ. სისტემის მართვა, მათ შორის ელექტრონული ფოსტის. ასევე, უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური პორტალი portal.bsu.edu.ge. წარმოდგენილ სხვადასხვა რეგულაციებში მითითებულია უნივერისტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართები, როგორც კომუნიკაციის საშუალება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პერსონალთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით შედეგების გათვალისწინებით, დასტურდება ერთიანი საკომუნიკაციო არხების გამოყენების პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხელშეკრულება შპას „Georgianairlink”-თან;
2. ხელშეკრულება შპს „სოფთლაინ საქართველოსთან“;
3. ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენასთან“;
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი;
5. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულება;
6. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
7. ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
8. გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 6 აგვისტოს N07-01/72 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) დებულებით განსაზღვრულია სამსახურის ფუნქციები საქმისწარმოების მიმართულებით, მათ შორის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციის შემუშავება, დანერგვა და სრულყოფა (მოიცავს მონიტორინგს, მუშაობის ფორმებს, მეთოდებს, წინადადებების ინიცირებას); ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბლანკების, ბეჭდების და შტამპების გამოყენების ორგანიზება და კონტროლი; ბრძანებების და სხვა სამართლებრივი აქტების რეგისტრაცია/შენახვა; არქივის მართვა. ბსუს-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 16 თებერვლის N01-08/6 ბრძანების N1 (უკანასკნელი ცვლილება 2021 წლის 23 ივლისის N0-02/123 ბრძანება) დანართით დამტკიცებულია საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომლითაც გაწერილია დოკუმენტის მიღების, რეგისტრაციისა და გაგზავნის წესები, წერილების, სამართლებრივი აქტების, ოქმების შედგენა, გაფორმება და ვიზირების საკითხები, ხელშეკრულების/მემორანდუმების შეთანხმებების შედგენა, გაფორმება ვიზირება და რეგისტრაციის ნორმები, პერსონალის და პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის წარმოების საკითხები, საქმეთა არქივისთვის გადაცემისა და გამოყენების საკითხები და ასევე სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დავალებების ვადები და კონტროლის დეტალები.

   უნივერსიტეტის რექტორის 20121 წლის 22 ოქტომბერის N01-10/92 ბრძანებით ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობების დოკუმენტით განსაზღვრულია ცენტრის სპეციალისტის მოვალეობები, რომელიც გულისხმობს პროფესიული სტუდენტების პირადი საქმის წარმოებასა და შენახვას, კურსდამთავრებულთა პირადი საქმის აკინძვასა და უნივერსიტეტის არქივისთვის გადაცემას; ხელშეკრულებების გაფორმების ორგანიზებას; პერსონალური მონაცემების ელექტრონული ბაზაში შეტანას, განახლებასა, ასევე სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვას; პროფესიული სტუდენტების სიის, აკადემიური მოსწრების, სტატუსების, ცხრილების, უწყისების და მობილობის შესახებ ინფორმაციის მომზადებასა და გაცემას; უწყისებისა და მტკიცებულებების დამუშავებასა და შენახვას; ცენტრის საქმისწარმოების წარმართვას (კორესპონდენცია, ბრძანებები, გადაწყვეტილებები, აქტები და მათი აღრიცხვის ჟურნალები, ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალები), ამასთან სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან კოორდინირებულ მუშაობას დიპლომების და მათი დანართების გაცემის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ექსპერტებისთვის მოწოდებული დოკუმენტები - ბრძანებები და ხელშეკრულებები დანომრილი და დათარიღებულია.

ინსტრუქციის დოკუმენტის 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი: *„საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული წესით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ინფორმაციის გაცემა დასაშვებია ბსუ-ს პრესსამსახურის, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ან/და ბსუ-ს სხვა დასაქმებულის მიერ, რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით.“* აღნიშნული ჩანაწერი არ გამოყოფს კონკრეტულ პოზიციას/პირს, რომელიც პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. თუმცა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი ,,ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 დეკემბრის N01-11/105 ბრძანების (აღნიშნული დოკუმენტი არ იყო ცნობილი ექსპერტებისთვის ვიზიტის ფარგლებში) პირველი პუნქტის თანახმად, ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის მატერიალური და ელექტრონული ფორმით (ელექტრონული საქმისწარმოებისა და ბსუ-ს ვებგვერდის საშუალებით ელექტრონულად მოთხოვნის შემთხვევაში) გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ბსუ-ს კანცელარიის უფროსი, ხოლო საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირებად, აღნიშნული ბრძანების დანართებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი.

სამსახურის დებულებებით განსაზღვრულია სამსახურის უფროსის მოვალეობები, ხოლო სხვა პერსონალის *(„უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა“)* სამუშაოთა აღწერილობის შესახებ დებულებაში განმარტებულია *„განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად“.* თუმცა აღნიშნული ბრძანებები ვერ იქნა წარმოდგენილი დაწესებულების მიერ.

საქმისწარმოების ინსტრუქციის დოკუმენტის მე-5 მუხლით განსაზღვრულია უნივერსიტეტის პერსონალის პირადი საქმის შემადგენლობა, ჩამონათვალიდან ერთ-ერთი მიუთითებს *„შესაბამისი* *განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (პროფესიული განათლების/ბაკალავრის/მაგისტრის/დოქტორის დიპლომი, სერტიფიკატი, დოქტორის ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილება და სხვა)“* - პუნქტი „3“. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულება არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში განმარტავს, რომ ჩანაწერში იგულისხმება არა ის საფუძველი, რომლითაც პირი განისაზღვრება განმახორციელებლად, არამედ განათლების შესაბამისი საფეხურის დამადასტურებელი დოკუმენტი. მოცემული განმარტების მხედველობაში მიღების შემთხვევაში, პუნქტი არ გამორიცხავს პირის განმახორციელებლად განსაზღვრისთვის სხვა საფუძველს შესაბამისი განათლების გარდა. თუმცა რეკომენდებულია მსგავსი ორაზროვანი ჩანაწერის კორექტირება და ნაგულისხმები გარემოების ნათელი ფორმულირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რექტორის 2020 წლის 24 ივლისის N01-02/89 ბრძანებით შესულია ცვლილება 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანებაში განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის ნაწილში და პირის პროფესიული განათლების მასწავლებლად განსასაზღვრად მითითებულია რამდენიმე პირობა: 1. შესაბამისი განათლება; 2. სამუშაო გამოცდილება; 3. მოდულების ადაპტაციის მიმართულებით აქტივობა; 4. შეფასების საკითხების შესახებ ტრენინგებში მონაწილეობის შედეგები. ასევე ირიბ მტკიცებულებად ნახსენებია კითხვარების, შიდა მონიტორინგის ან/და ვერიფიკაციის შედეგების ანალიზი. ზემოთჩამოთვლილი ყველა მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი განმახორციელებლების პირადი საქმეში. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულება არგუმენტირებული პოზიციით განმარტავს, რომ ჩამონათვალის წერტილ-მძიმით გამოყოფა წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას, რომელიც გამოსწორებულია არგუმენტირებული წერილის დანართებში მტკიცებულების სახით წარმოდგენილ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 ოქტომბრის №01-02/188 ბრძანებით და რომელშიც იმავე ჩამონათვალს შორის ვკითხულობთ გამყოფ კავშირებს „ან/და“. კორექტირება მხედველობაში იქნა მიღებული ექსპერტების მიერ, ვინაიდან ბრძანება თარიღდება ვიზიტის პერიოდით, თუმცა რეკომენდებულია განსაზღვრული პირობების მე-3 და მე-4 ნაწილის გადახედვა, რამდენად შესაძლებელია ისინი დამოუკიდებლად წარმოადგენდნენ პირის განმახორციელებლად დანიშვნის საფუძველს: 3 *„შეფასების საკითხებში ბსუ-ს მიერ ჩატარებული მოდულის ადაპტაციის, სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის მიმართულებით ცვლილებების შეტანის მიმართულების მისი აქტივობით“* 4. *„ან/და შეფასების საკითხებში ბსუ-ს მიერ ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობის შედეგებით (ტრენინგებში მონაწილოების მატერიალურ მტკიცებულებად განიხილება: სერტიფიკატები, დასწრების ფურცლები)“.*

საქმისწარმოების ინსტრუქციით განსაზღვრული პერსონალის პირადი საქმის შემადგენლობის ჩამონათვალში არ შედის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლეობის შესახებ ცნობა, რასთან დაკავშირებითაც მხედველობაში იქნა მიღებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციით მოწოდებული განმარტება - პირადი საქმის შემადგენელი დოკუმენტების ჩამონათვალის ,,თ“ ქვეპუნქტი*: „სხვა სამართლებრივი აქტები და დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია დასაქმებულის შრომით-სამართლებრივ ურთიერთობასთან.* თუმცა შემოწმების შედეგების მიხედვით, პროგრამის განმახორციელებელი ყველა პირის მოწოდებულ პირად საქმეებში არ არის განთავსებული საქმისწარმოების ინსტრუქციის ჩამონათვალით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი. დამატებით აღსანიშნავია, რომ პირადი საქმეების შესწავლის საკითხი გართულებულია ნაკლებად მოწესრიგებულობის გამო.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ექსპერტების რეკომენდაციაა, ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებაში, გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს საქმისწარმოების ინსტრუქცია და პირადი საქმის შემადგენლობა კანონმდებლობასთან მიმართებაში; მოწესრიგდეს პირადი საქმეები დადგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>რეგულაციის თანახმად და უზრუნველყოფილი იქნას აქტით დადგენილი გადაწყვეტილების შესრულება (მეორე აქტის გამოცემის თაობაზე).</u>

2. 2021 წლის 6 აგვისტოს წარმომადგენლობითი საბჭოს N07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) დებულება, სამსახურის ფუნქციებში შედის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ხელმისაწვდომობა.

   უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 16 თებერვლის N01-08/6 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ინსტრუქციის (უკანასკნელი ცვლილება 2021 წლის 23 ივლისის N01-02/123 ბრძანება) 1-ლი მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი აქტების სტუდენტებისათვის და პერსონალისათვის გაცნობა - საჯარო გამოცხადება (გარდა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებისა, რომელიც ეხება მხოლოდ ერთ პირს) ხორციელდება ვებგვერდის საშუალებით (www.bsu.edu.ge) ან/და საინფორმაციო დაფების მეშვეობით, ხოლო მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, უნივერსიტეტში შემოსული კორესპონდენცია (ფოსტის მეშვეობით/მატერიალური სახით/ელექტრონულად, მათ შორის სტუდენტური პორტალის საშუალებით ან უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე - info@bsu.edu.ge ან კანცელარიის ელ. ფოსტაზე - chancelery@bsu.edu.ge შემოსული, რეგისტრირდება და აღირიცხება საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია).

   დაწესებულება სარგებლობს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემით - eflow და ზემოთხსენებულ ინსტრუქციაში გაწერილია დასაქმებულების მიერ სისტემით, ბაზაში რეგისტრირებულ საკუთარ გვერდით (მომხმარებელი), სარგებლობის ვალდებულება და სიხშირე.

   შემუშავებული რეგულაციების თანხმად, კანცელარიაში დოკუმენტები გადიან პირველად დამუშავებას, წინასწარ გარჩევას, ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით რეგისტრაციას (eFlow.emis.ge-ს მეშვეობით). კანცელარიაში აღრიცხული კორესპონდენცია წარიმართება მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით (გადაეცემა ვიზის დამდებ პირებს/ავტორებს/ადრესატებს). უნივერსიტეტიდან კორესპონდენცია იგზავნება ელექტრონულად (eFlow.emis.ge-ს მეშვეობით).

   წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. უნივერსიტეტის რექტორის 20121 წლის 22 ოქტომბერის N01-10/92 ბრძანებით ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობების დოკუმენტით ცენტრის სპეციალისტის (ხარისხის მართვის კოორდინატორი) მოვალეობებში *შედის "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (vet.emisge; evet.emis.ge; tvet.emis.ge) სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანა".* სასწავლო პროცესის მენეჯერმა, ვიზიტის პერდიოდში, უზრუნველყო ექსპერტებისთვის ბაზაში შეტანილი ინფორმაციის ჩვენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წარმოდგენილი დოკუმენტით და ბაზის მონაცემებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ხელმძღვანელობენ საქმისწარმოების ინსტრუქციით (ინდიკატორი 5.2.2 -2) და მათი მხრიდან შემოსული კორესპონდენციის ყოველდღიური შემოწმების შედეგად, დროულად ახდენენ ანგარიშებს, უკუკავშირისა და ინფორმაციას მიწოდებას მოთხოვნისამებრ. ხარისხის მართვის მენეჯერმა ექსპერტებს საკუთარი მომხმარებლის გვერდიდან უჩვენა უკანასკნელი კორესპონდენცია გაგზავნილი ვადების დაცვით.

გასაუბრებით და ელექტრონული სისტემის მონაცემებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) დებულება;
2. საქმისწარმოების ინსტრუქცია;
3. ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
4. ,,ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 8 დეკემბრის N01-11/105 ბრძანება;
5. გასაუბრება;
6. ბაზის მონაცემების გაცნობა;
7. ელექტრონული საქმისწარმოების უკანასკნელი კორესპონდენციის გაცნობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1,3,6 დაწესებულების ვებ გვერდის მისამართია https://bsu.edu.ge/, რომელზეც მომხმარებელბისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით განთავსებულია ანონსები, ახალი ამბები, განცხადებები, ხოლო დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაციის მისაღებად მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ასევე, ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითების გზით, ვებ გვერდს აქვს სიახლის გამოწერის ფუნქცია. ვებ გვერდზე მოცემულია უნივერსიტეტის მისია, რომელშიც ინტეგრირებულია ღირებულებები, თუმცა არ იძებნება ხედვა, განთავსებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და შესრულების ანგარიშები, ასევე უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ფუნქცია.

უნივერსიტეტის ვებ გვერდის ერთ-ერთ შიდა გვერდზე https://bsu.edu.ge/sub-54/news/index.html განთავსებულია პროგრამების შესახებ ინფორმაცია, გაფორმებული მემორანდუმები პარტნიორი კომპანიების დასახელებით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებლთა კითხვარები, პროგრამებზე მიღების წესი, მარეგულირებელი დოკუმენტები და სხვა. ნავიგაცია არ არის მარტივი, ვინაიდან ცენტრის შესახებ ინფორმაცია გაბნეულია სხვადასხვა ჩანართებში. მოკლე ინფორმაცია მითითებულია უნივერსიტეტის სტრუქტურის ჩანართში https://bsu.edu.ge/main/page/9476/index.html „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“ სახელწოდებით, სადაც მოცემულია ცენტრის მიზნები და ამოცანები, ასევე განთავსებულია დებულება და 2018 წლის 31 ოქტომბერს დამტკიცებული სამუშაო აღწერილობები, ამ უკანასკნელის მომდევნო რედაქცია (2020 წლის თებერვალი) მოცემულია ვებ გვერდის სხვა ჩანართში https://bsu.edu.ge/sub-54/page/2-431/index.html, ხოლო მიმდინარე ვერსია (2021 წლის ოქტომბერი) წარედგინათ ექსპერტებს ვიზიტის დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტი ამტკიცებს კატალოგს ყოველწიურად, თუმცა ვებ გვერდზე არ არის განთავსებული 2021 წლის კატალოგი. იძებნება კატალოგი, დათარიღებული 2019 წლით, ერთ ბმულზე https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_11826_1.pdf , ხოლო 2020 წლის კატალოგი სხვა ბმულზე https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_11186_4.pdf.

დაწესებულებაში არ არის შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 14 ივნისის N01-11/47 ბრძანებით დამტკიცებულია ვებ გვერდის ადმინისტრირების წესი, რომლის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია, რომ ვებ გვერდის ადმინისტრირება მოიცავს მის ველებში განთავსებული მასალების მომზადებას, განახლებას და სისტემატიურ ზედამხედველობას. განსათავსებელი მასალები განმარტებულია როგორც შინაარსობრივად, ენობრივად და სტილისტურად გამართული. განთავსების გონივრული ვადა განსაზღვრულია 3-5 სამუშაო დღით. მიწოდებული მასალების დამუშავებაზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხოლო განთავსება განაწილებულია საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებსა და ფაკულტეტის დარგობრივ დეპარტამენტზე.

რექტორის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/410 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის პერსონალის - მთავარი სპეციალისტი I და II, გაზეთის „ბათუმის უნივერსიტეტი“ რედაქტორი და სპეციალისტი, სამუშაოთა აღწერილობა.

არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულებით (დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №07 გადაწყვეტილებით და ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტი არ იყოს ცნობილი ექსპერტებისთვის) სამსახურის ფუნქციებს შორის იკითხება: „უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (სოციალური ქსელი, პრესა და სატელევიზო სიუჟეტები) მასალების ყოველდღიური ანალიზი და ამის შესახებ უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინფორმირება“;

ინდიკატორის ინტერესის ფარგლებში მოწოდებული რეგულაციებში ფარგლებში არ იკვეთება დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების და მით უფრო გამოყენების მექანიზმები ცენტრის მიზნების შესაბამისად.

ვებ გვერდზე არ არის განთავსებული განახლებული ინფორმაცია (სამუშაოს აღწერილობები და კატალოგი), ასევე ხედვა; ნავიგაცია რთულია ცენტრის დაინტერესებული მხარეებისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 03 დეკემბრის №0110/100 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 2021 წლის 6 დეკემბერიდან 2022 წლის 6 ივნისამდე პერიოდს. აღნიშნული გეგმის გათვალისწინებით, ექპერტების მიერ ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტების რეკომენდაციაა, ინდიკატორების მოთხოვნებთან მიმართებაში, შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის განხორციელების გზით, უზრუნველყოფილი იქნას ვებ გვერდზე განახლებული ინფორმაციის მარტივი ხელმისაწვდომობა და შემუშავდეს დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების და გამოყენების მიდგომები საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება მხოლოდ ქართულ ენაზე.

4-5 საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის შედგენისა და განახლების მოვალეობა ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობების მიხედვით, დაკისრებული აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს. ვებ გვერდის შემდეგ ბმულზე https://bsu.edu.ge/sub-54/page/2-431/index.html განთავსებულია 2019 წელს დამტკიცებული კატალოგი ერთ ფაილად, https://bsu.edu.ge/sub-54/page/3-461/index.html ბმულზე 2020 წლის კატალოგი, ხოლო ბმულზე https://bsu.edu.ge/sub-29/program/1/index.html კატალოგის ჩანართის სახელწოდების ქვეში მითითებულია პროგრამები და მათი ჩამონათვალი და ორ-ორ ფაილად პროგრამის ძირითადი დოკუმენტი (დანართების მითითებით, თუმცა დანართების გარეშე) და სასწავლო გეგმა.

2019 წლის კატალოგი არსებითად წარმოადგენს და პროგრამების ძირითადი დოკუმენტებიდან ამოღებული ძირითადი ინფორმაციის ერთობლიობას, რომელსაც წინ უძღვის უნივერსიტეტის ისტორიის შესავალი, სადაც არ არის ყურადღება გამახვილებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. აღნიშნული კატალოგი ვერ შეიძლება მიჩნეულ იქნას დაინტერსებული პირების ინფორმირების საშულებად დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი კატალოგი ბეჭდური სახით, ხოლო ვებ გვერდის არ იძებნება 2021 წლის კატალოგი.

არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 03 დეკემბრის №0110/100 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 2021 წლის 6 დეკემბერიდან 2022 წლის 6 ივნისამდე პერიოდს. აღნიშნული გეგმის გათვალისწინებით, ექპერტების მიერ ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ექსპერტების რეკომენდაციაა ინდიკატორების მოთხოვნების გათვალისწინებით, შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის განხორციელების გზით, უზრუნველყოფილი იქნას კატალოგის ცენტრის რეკომენდაციების მიხედვით შედგენა, ყოველწლიური განახლება და მისი დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობების მიხედვით, ხარისხის მართვის მენეჯერის მოვალეობაში შედის „ვებ გვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვა პროფესიული განათლების მიმართულებით საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება, პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით პროფორიენტაციის ხასიათის აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება“. აღნიშნული ფუნქცია არ შეესაბამება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ განსახორციელებელი აქტივობების მიმართულებას და საჭიროებს გადახედვას ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის (4.1.1 - 2) მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობებში ვკითხულობთ ინფორმაციას შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმების შესახებ, სადაც ნახსენებია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. წინადადება კორექტირებას საჭიროებს, ერთის მხრივ ენობრივად გამართვის, ხოლო მეორეს მხრივ - ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის (4.1.1 - 3) მოთხოვნასთან შეუსაბამობის გამორიცხვის მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ოფიციალური ვებ გვერდის ადმინისტრირების წესი;
2. ვებ გვერდი https://bsu.edu.ge/
3. ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობა;
5. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება;
6. 2021 წლის 03 დეკემბრის №0110/100 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საბიბლიოთეკო საქმე Library Work
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში / Secondary Vocational Qualification in Library Work
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0322
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	06-01/26-02.04.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	124

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“ საჭიროებს A და B სასწავლო გარემოს, შესაბამისად შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - აუდიტორია N305 (A), რომელიც აღჭურვილია 20 სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 დაფა, 1 პრინტერი და 1 პროექტორი; ასევე აუდიტორია N302/301 (B), რომელშიც დამატებით განთავსებულია 20 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საბიბლიოთეკო საქმე“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს დაწესებულების საუნივერსიტეტო და ცენტრის ბიბლიოთეკა, რომელიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განყოფილებას წარმოადგენს. ბიბლიოთეკაში დანერგილია, როგორც „openbiblio“, ასევე თანამედროვე ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა „koha“. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად შესაძლებელია უნივერსიტეტის ბაზაზე, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტს ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკასთან. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის განყოფილებები და საჯარო ბიბლიოთეკა გადამოწმდა ოფიციალური ვებ გვერდის მეშვეობით.

   პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება რეგულირდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით (N01-02/12, 08.02.2019) დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესის“ მიხედვით - მუხლი 3 პუნქტი 2., რომლის მიხედვით, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შესაძლებელია ბსუ-ს პროგრამის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულშიც, სადაც საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესაბამისი რეალური სამუშაო გარემოა, და არ საჭიროებს ხელშეკრულების გაფორმებას, გამოიცემა აქტი, უშუალოდ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებამდე.

   დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები. მატერიალური რესურსის რაოდენობა იძლევა კვოტით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მომსახურეობის შესაძლებლობას.

   დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტებით და ვიზუალური დათვალიერებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 26 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან:
   - ზოგადი მოდულებისთვის 11 განმახორციელებელი;
   - პროფესიული მოდულებისთვის - 11 განმახორციელებელი;
   - არჩევითი მოდულებისთვის - 5 განმახორციელებელი.

   თითოეული მოდულის განხორცილებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი, უშუალოდ საწარმოო პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის განხორციელებისთვის - 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

   პროფესიული განათლების მასწავლებლების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ამასთან, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბერის N03 გადაწყვეტილებით (უკანასკნელი ცვლილება 2020 წლის 14 აგვისტო N04-01/85) დამტკიცებულია „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“, რომლითაც დაშვებულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, საათობრივი ანაზღაურების წესით პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაოს შესრულება და დადგენილია დამატებითი საათობრივი დატვირთვის ზღვრული ოდენობის შეზღუდვა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საათობრივი დატვირთვის ოდენობა მუდმივად კონტროლდება ადმინისტრაციის მიერ დოკუმენტების ვიზირების გზით.
   დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ პირადი საქმეებში დაცული დოკუმენტებით და გასაუბრების შედეგებით. დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირებს, აქვთ მრავალწლიანი შესაბამისი პროფესიული და სწავლების გამოცდილება, ფლობენ და მუშაობენ დარგის თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. მათი უმრავლესობა დასაქმებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. გასაუბრება შედგა პროფესიული მოდულის 2 განმახორციელებელთან.

   დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტებით და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ მოთხოვნები განსაზღვრულია „ბსუ -პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების უზრუნველყოფის წესით“ (მუხლი 9, პუნქტი 1), რომლის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პერსონალი, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაცია. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პროგრამას ჰყავდეს თანახელმძღვანელი (კოორდინატორი), მათ შორის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი. ზემოთ აღნიშნული რეგულაციით ასევე განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი ადმინისტრაციული მოვალეობების ჩამონათვალი, მათ შორის განმახორციელებელი პირების შერჩევის პროცესის წარმართვა, განმახორციელებელი პირების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება, დარგის სახილეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება განმახორციელებლებისთვის.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ ხელმძღვანელი გ.შ. არის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, რომელიც ცენტრის წარმომადგენლების განმარტებით, დაწესებულებაში ასრულებდა ანალოგიური პროგრამის ხელმძღვანელის როლს. მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტებით დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება. აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ პროგრამის ფარგლებში, გ.შ. ახორციელებს მოდულებს „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ და „კულტურული საგანმანათლებლო ღონისძიებები“, რომლის შესაბამისი კომპეტენცია, პირადი საქმის მტკიცებულებებით, დასტურდება. ვიზიტის ფარგლებში ვერ განხორციელდა ხელმძღვანელთან გასაუბრება.

<u>პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში არსებული დოკუმენტებით არ დასტურდება დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია ან გამოცდილება, შესაბამისად, მის მიერ პროგრამის ხელმძღვანელისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება. ამგვარად, ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.</u>

<u>ექსპერტების რეკომენდაციაა, დაწესებულებამ გადახედოს პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის მექანიზმს, მის მიმართ წაყენებული მოთხოვნებს და უზრუნველყოს ისეთი პირების დანიშვნა, რომელთა კვალიფიკაციით/სამუშაო გამოცდილებით ეჭვქვეშ არ დადგება მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების საკითხი.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ნაწილი ბეჭდური, ნაწილი ელექტრონული სახით. რესურსი მოიცავს დარგში არსებულ საერთაშორისო მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებს და საბიბლიოთეკო სტანდარტებს. სასწავლო რესურსთან მითითებულია ინტერნეტ გვერდები, რომლითაც შესაძლებელია რესურსზე წვდომა. ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა მოდულებში მითითებული ბმულები, რომლებიც აქტიურია და იძლევა სახელმძღვანელოების ჩამოტვირთვის შესაძლებლობას. შემოწმებული იქნა ასევე ბიბლიოთეკა და დაცული წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკაში არის გამოყოფილი 4 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც ჩატვირთულია ელ. საგანმანათლებლო რესურსები. ასევე, განთავსებულია პრინტერი, შესაბამისად სტუდენტებს აქვთ საშუალება შექმნან საჭირო რესურსის ასლი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, ასევე ბსუ-ს ვებ-გვერდის გამოყენებით, შესაბამისი საბიბლიოთეკო საძიებო სისტემებითა და სისტემაში ავტორიზებული წვდომის გამოყენებით. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანებით (უკანასკნელი ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 09 ივნისის N N01-02/56 ბრძანებით) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-9 მუხლი აწესრიგებს ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის საკითხებს. რეგულაცია აღწერს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების, მათი საჭიროებების შესაბამისად, მომსახურების წესებს, მათ შორის, აკომოდაციის პრინციპით, სწავლის შედეგების თვისებრივ ან რაოდენობრივი ცვლილებების შესაძლებლობას. შესაბამისად განმახორციელებელს მინიჭებული აქვს მასალის ცვლილებების პრეროგატივა.

<u>დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის მიხედვით, იკვეთება სსსმ პირების მიერ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ, მათი საჭიროებების მიხედვით ადაპტირებულ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა, თუმცა ექსპერტების შეფასებით, უმჯობესია წესი, მატერიალური და ადამიანური რესურსის ნაწილის მსგავსად, ითვალისწინებდეს სასწავლო რესურსების ადაპტირების შინაარსობრივი და ტექნიკური ცვლილებების კონკრეტულ საკითხებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სახელმძღვანელოდ. მოდულისთვის განსაზღვრული სასწავლო მასალის ალტერნატიული ვარიანტის შემუშავება - პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი, მისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალის შედგენის/რედაქტირების პრინციპები.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელის მიხედვითაც შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება (პროგრამის ბიუჯეტი 45, 097 ლარი), ხოლო რენტაბელობის ზღვარია 13 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ხარჯები წარმოდგენილია ოპერაციული, პერსონალის ანაზღაურებისა და პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის სახით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, განსაკუთრებულ მატერიალურ რესურს/სახარჯ მასალას არ მოითხოვს.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით და გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკასთან გაფორმებული მემორანდუმი (06.02.2019);
2. ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი https://www-bpl-ge;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“ დანართი 23 „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“ დანართი 2 „პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი“;
5. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის დადგენილება #06-01/07 „ბსუ -პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
6. პერსონალის პირადი საქმეებში დაცული დოკუმენტები;
7. ბსუ-ს ვებ-გვერდი https://www.bsu.edu.ge/sub-23/news/index.html;
8. მატერიალური რესურსის ფლობის/ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია;
9. ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის დანართი 5. პროგრამის ბიუჯეტი.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ დამატებითი დოკუმენტების სახით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის დანართის - სასწავლო გეგმის შესაბამისად, პროგრამა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის ხორციელდება 70 კვირის, ხოლო არაქართულენოვანთათვის - 92 კვირის განმავლობაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებს წინაპირობები არ აქვს. პროგრამის კომპონენტები, სწავლის შედეგების შინაარსისა და მათი სირთულის მიხედვით, ლოგიკურადა და თანმიმდევრულადაა დაგეგმილი. სასწავლო გეგმით, საშუალო კვირეული დატვირთვა შეადგენს 33 საათს.

   საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, რასაც ცხადყოფს დაწესებულების მიერ ცენტრის მეშვეობით გამოგზავნილი, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების განხორციელების განრიგი/ვადები (ბსუ-ს რექტორის ბრძანებები N01/02/132 08.10.2020; N01-02/19 10.02.2021).

   დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტებზე დაყრდნობით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 22 ოქტომბრის N01-02/187 ბრძანებით დამტკიცებულია ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, რომელიც ადგენს დისტანციური სწავლებისა და მონიტორგინის ფორმებს, წესსა და პირობებს. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით (რასაც გასაუბრებისას ადასტურებენ პროფესიული განათლების მასწავლებლები), პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია ცენტრის მხრიდან ტექნიკური მხარდაჭერისა შესაძლებლების შესახებ, მათ შორის ცენტრის აუდიტორიების გამოყენების გზით, თუმცა შეთავაზებით არ უსარგებლია არცერთ სტუდენტს.

   დაწესებულება სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის იყენებს ლიცენზირებულ დისტანციური/ონლაინ სწავლების საშუალებას - ონლაინ პლატფორმას „ZOOM".

   ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიდან, რომელიც დათარიღებულია 2020 წლის 29 დეკემბრით, ირკვევა, რომ ცენტრი ცდილობს პროფესიული სტუდენტებისგან ინფორმაციის მიღებას დისტანციური სწავლების ეფექტიანობის შესახებ. გაცემულია რეკომენდაცია გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზებზე შეხვედრის ფორმატით მსჯელობის შესახებ.

   დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტებით და გასაუბრების შედეგებზე დარყდნობით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დანერგილია მართვის ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემები: Koha - საბიბლიოთეკო საქმიანობის ადმინისტრირება: ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების, მკითხველთა შეტყობინების, ლიტერატურის შერჩევის, ძებნის სისტემები და სხვა. ასევე, OpenBiblio - ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის შესაქმნელი პროგრამა. სისტემების გამოყენება უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო საქმის თანამედროვე სტანდარტების შესწავლას.

   გასაუბრების შედეგებით და ვიზუალური დათვალიერებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლით დაწესებულება აცხადებს, რომ *„უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას".*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ამავე წესით დაშვებულია *„ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, სტუდენტის/სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება განმეორებითი შეფასების ორგანიზება, ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ერთი კვირით მომდევნო მოდულის სწავლების დაწყების გადავადება, სასწავლო პროცესის სხვა მოდულის საათებით დარეგულირების ხარჯზე.“*

ასევე, რეგულაცია განსაზღვრავს *„პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების განხორციელებას ცენტრის ადმინისტრირებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. კომისიის გადაწყვეტილებაში მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა“.* საჭიროების შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ცენტრი იღებს ვალდებულებას პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში მოწოდებული მტკიცებულებების თანახმად, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის №06-01/07 დადგენილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში“ (აღნიშნული დოკუმენტი არ იყო ცნობილი ექსპერტებისთვის ვიზიტის ფარგლებში) ამავე საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის №06-01/40 დადგენილებით შევიდა ცვლილებები და წესის მე-6 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება დგება ასევე პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსშეჩერებული სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების, წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარების, პროგრამაში ცვლილებების შეტანის და სხვა შემთხვევების დროს. ასეთ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ინიცირებას ახდენს ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით“.

„პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად იქმნება სამუშაო ჯგუფი, ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფი, პროფესიული სტუდენტის ჩართულობის გზით უზრუნველყოფს სტუდენტისათვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას. შემუშავებული გეგმა წარედგინება ცენტრის დირექტორს (დამოწმდება ცენტრის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით).“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ზემოთხსენებული დოკუმენტები ზოგიერთ შემთხვევაში ფარავენ ერთმანეთს.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ზემოაღნიშნული შესაძლებლობებით, არ უსარგებლია არცერთ სტუდენტს, მათ შორის აღნიშნულ პროგრამაზე არ ფიქსირდება სსსმ სტატუსით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მზაობა იკვეთება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამის პუნქტებში, თუმცა ექსპერტების მოსაზრებით, უმჯობესია ფორმალური განათლების აღიარების საკითხები ნათლად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად იქნას აღწერილი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის რეკომენდაციებით შესაძლებელია განხორციელდეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებული საწარმო ან მის სტრუქტურულ ერთეულში. რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამის ძირითად პრაქტიკის ობიექტს წარმოადგენს ბსუ ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს უნივერსიტეტის დაარსების დღიდან და მოიცავს მდიდარ საბიბლიოთეკო ფონდს (320, 521 ერთეული). ბიბლიოთეკა შედგება ცენტრალური, ორი საფაკულტეტო, ორ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბიბლიოთეკისგან. პროფესიული განათლებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ბიბლიოთეკაც წარმოადგენს მის სტრუქტურულ ერთეულს. ბსუ-ს საბიბლიოთეკო მომსახურებას ახორციელებს ჯამში 17 პირი.

ექსპერტების მიერ შემოწმდა ცენტრის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე დიზაინით, კომპიუტერული ტექნიკით, მართვის ინტეგრირებული სისტემებით, კვალიფიციური პერსონალით, რომელიც ასევე წარმოადგენენ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებსაც.

დაწესებულებას პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით, თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი აქვს გაფორმებული ქ. ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკასთან, რომელიც განთავსებულია ორ მისამართზე:

- ძირითადი კორპუსი - ვაჟა-ფშაველას 1.#12, 153 სამკითხველო ადგილით;
- საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება - ჯავახიშვილის ქ.#71, 86 სამკითხველო ადგილით.

საერთო ფართით 2064,28 კვ.მ. ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენს 565 366 ერთეულზე მეტს, აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით, პერსონალის საშტატო ერთეული შეადგენს 79.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მემორანდუმი, არა მხოლოდ ცენტრის „საბიბლიოთეკო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში საჯარო ბიბლიოთეკის აღჭურვილობითა და რესურსებით სარგებლობას ითვალისწინებს, არამედ მხარეთა ჩართულობას პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესებსა და ერთობლივად საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგების ჩატარებასაც, ასევე ბიბლიოთეკის მხრიდან მეთოდური დახმარების გაწევას.

ცენტრში შემუშავებული პრაქტიკის განხორციელების წესის შესაბამისად, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების შესახებ, პარტნიორ დაწესებულებასთან კომუნიკაცია დგება 4 კვირით ადრე, ხოლო 1 კვირით ადრე ფორმდება ხელშეკრულება დამაზუსტებელი პირობებით, რაც ასევე გულისხმობს პროფესიული სტუდენტების სიის, პრაქტიკის ვადების, პროგრამის შინაარსის პარტნიორისთვის მოწოდებას.

მემორანდუმში არ არის მითითებული რა რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებენ ობიექტზე ერთდროულად, თუმცა აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ინდიკატორის მოთხოვნებს, ვინაიდან საწარმოო პრაქტიკა უზრუნველყოფილია დაწესებულების ბაზაზე. ექსპერტები მიიჩნევენ, პარტნიორებთან თანამშრომლობის მემორანდუმით გაფორმების სურვილის შემთხვევაში *უმჯობესია, მემორანდუმებში შეტანილი იქნას პარტნიორი კომპანიის მიერ ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა.*

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტებით და გასაუბრების შედეგებზე დარყდნობით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაკუთრებული უსაფრთხოების მოთხოვნები არაა დადგენილი. სასწავლო გარემოზე ვრცელდება სტანდარტული საოფისე საქმიანობის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების წესები, რასაც არეგულირებს ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების შესახებ შიდა დოკუმენტი. სასწავლო გარემო მოთხოვნების შესაბამისადაა აღჭურვილი. სივრცე აღჭურვილია პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებით - ცეცხლმაქრი.

ექსპერტების მიერ ასევე შემოწმებული იქნა დაწესებულების მიერ ბიბლიოთეკაში ინფექციის კონტროლის მექანიზმები. დაწესებულებას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ახალი კორონავირუსი (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ბიბლიოთეკებისთვის ზოგადი რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო მომსახურების უსაფრთხოების წესები.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“;
2. ბსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის დაწყების, საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ რექტორის 2020 წ. 8 ოქტომბრის #01-02/132 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
3. ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკასთან გაფორმებული მემორანდუმი (06.02.2019);
4. ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი https://www-bpl-ge;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“ დანართი 23 „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი“
6. ბსუ-ს ვებ-გვერდი https://www.bsu.edu.ge;
7. ,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
8. ვიზუალური შეფასება და პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1,2,4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებას და გასაჩივრების პირობებს, დადგენილია, რომ წინმსწრები მოდულების დადასტურება სავალდებულოა სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში, თუმცა სასწავლო გეგმაში, მიღებული ფორმატიდან გამომდინარე, მითითებულია არა შეფასების ვადები არამედ, მოდულების დაწყებისა და დასრულების თანმიმდევრობა და ინტენსივობა. ასევე წესი (მუხლი 10, პუნქტი 7) ადგენს, რომ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს განმეორებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე, ასევე მისი გადავადება, რის საფუძველზეც ცენტრის დირექტორი ნიშნავს განმეორებით შეფასებას განმახორციელებელთან შეთანხმებით. ჩანაწერები არ გამორიცხავს ნაგულისხმევ გარემოებას - წინმსწრები მოდულის პროგრამის დასრულებამდე გადაბარების შეუძლებლობას და ამგვარად არ ადგენს წინმსწრები მოდულის დამატებითი შეფასების ჩატარების ვადას. ამავდროულად რეგულაციის სხვა პუნქტი მკაფიოდ განმარტავს, რომ დაშვებულია წინაპირობის მქონე მოდულების დაწყების გადავადების შესაძლებლობა: *„ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, სტუდენტის/სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება განმეორებითი შეფასების ორგანიზება, ცენტრი უფლებამოსილია ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე ერთი კვირით გადაავადოს მომდევნო მოდულის სწავლების დაწყება სასწავლო პროცესის სხვა მოდულის საათებით დარეგულირების ხარჯზე.“*

აღნიშნულ საკითხს გარკვეულწილად არეგულირებს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის N06-01/40 დადგენილება (ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სხვა ინდიკატორის დადასტურების მიზნებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტიდან) 2019 წლის 6 თებერვლის №06-01/07 დადგენილებით დამტკიცებულ „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ: *„ა) მე-4 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,12. მოდული თუკი არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ 2-კვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა.“*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ამასთან შეფასების ინსტრუმენტის ფორმის ერთ-ერთი გრაფაში „განმეორებითი შეფასების პროცედურები“ გასაგებად ფორმულირებულია: *„შენიშვნა: ამ გრაფაში უნდა მიეთითოს განმეორებითი შეფასების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროცედურა, მაგალითად: ,,განმეორებით შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს იმ მოდულის/მოდულების განხორციელებამდე რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს ეს მოდული (მიეთითება იმ მოდულის დასახელება რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს) ან განმეორებით შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს პროგრამის დასრულებამდე რადგან ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულების წინაპირობას“.*

ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას - პროფესიული სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე მარეგულირებლ წესში მკაფიო განმარტებას წინმსწრები მოდულების დადასტურების შესაძლებლობის ვადების განსაზღვრის შესახებ და შეფასების ინსტრუმენტის (სადაც საკითხი განმარტებულია) პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობის თაობაზე.

მარეგულირებლის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს შეფასების შედეგები ეცნობება არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში, თუმცა <u>არ არის მითითებული ნაგულისხმევი ათვლის დრო - შეფასების ჩატარების დღიდან; რეგულაციაში არ იკითხება შედეგების მიწოდების ფორმა და მის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირი. შეფასების გაცნობას არეგულირებს მარეგულირებელი წესის დანართი 1 - მოდულის სწავლის შედეგების შეფასების შემაჯამებელი ფორმა, სადაც ვხვდებით პროფესიული სტუდენტის ხელმოწერის გრაფას „გავეცანი და ვეთანხმები მიღებულ შედეგს“ (გასათვალისწინებელია ასევე არასრულწლოვანი პირების შემთხვევა.)</u>

წესის მიხედვით, შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლება პროფესიულ სტუდენტს აქვს 3 სამუშაო დღის ვადაში, შედეგების გაცნობიდან. დირექტორი 2 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას კომისიური წესით განხილვის ან განუხილველობის შესახებ, რეგულაციაში <u>არ არის აღწერილი კომისიური წესით განუხილველობის შემთხვევა.</u> კომისია განიხილავს საკითხს 2 სამუშაო დღეში და მიუთითებს, რომ *„შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება“*, <u>არ არის განმარტებული შეფასების დანიშვნის გადაწყვეტილებისგან განსხვავებული შემთხვევები და განმეორებითი შეფასების დანიშვნის საფუძვლები (მაგ. ხომ არ არის დამოკიდებულია საჩივრის ტიპებზე - პროცედურული ან/და შინაარსობრივი).</u> ამასთან ტერმინი „განმეორებითი შეფასება“ გამოყენებულია ორგვარი გაგებით, როგორც დამატებითი შეფასება და როგორც აპელაციის შედეგად დანიშნული შეფასება).

რეგულაციის თანახმად, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დანიშნული განმეორებითი შეფასებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შეცვალოს „სწავლის შედეგის დადასტურების თემატიკა/ტესტი/საკითხები“, <u>ბუნდოვანია თემატიკის ცვლილების საჭიროების მიზეზი (თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს სწავლის შედეგს, განსხვავებული თემატიკის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემოტანა, შეფასების სისტემის სამართლიანობისა პრინციპის დაცვით, დაუშვებელია) და არ არის მითითებული დამატებითი შეფასების (არა კომისიის მიერ დანიშნული) შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

მარეგულირებელი წესის მე-11 მუხლი აღწერს შესრულების მტკიცებულებას და შეფასების გაფორმების საკითხებს, რომლის 1-ლი პუნქტის პირველი ნაწილი გაუგებრად განმარტავს, რომ *„1. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური სახით დადასტურებას.“* ჩანაწერი ერთგვარად გამორიცხავს ელექტრონული მტკიცებულების არსებობის შესაძლებლობას. ამ მუხლით დადგენილია მტკიცებულებების მიმართ წაყენებული ლეგიტიმური მოთხოვნა - იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშულებას, და მათ მოგროვება-შენახვაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია განმახორციელებელი, შედეგები ფორმდება უწყისში.

ზემოთხსენებული წესის მე-12 მუხლი „შეფასების ინსტრუმენტები და მათი ვერიფიკაცია“ ადგენს შეფასების ინსტრუმენტების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და ვერიფიკაციის მექანიზმებს, წესის დანართით დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა და ვერიფიკაციის სქემა, ეს უკანასკნელი წარმოადგენს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ფორმას დაა რეგულაციის სხვა ნაწილში ვერიფიკაციის პროცესის აღწერაში არსებითად მოცემულია/გამეორებულია ამ სქემით გათვალისწინებული ეტაპების ჩამონათვალი. ამასთან, სხვადასხვა პუნქტებში არასწორი დატვირთვით არის მოცემული ტერმინი „ვერიფიკაცია“, მაშინ როდესაც პროცესი გულისხმობს „ვალიდაცია“ - წესში დადგენილია, რომ *„შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება“.* აღნიშნული მოთხოვნა ერთმნიშვნელოვნად ვერ იქნება შესრულებული, ვინაიდან ვერიფიკაციის მიზნები, ამავე წესის განმარტებით, ითვალისწინებს ინსტრუმენტების შერჩევითი პრინციპით შემოწმებას, რაც გამორიცხავს ყველა შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიცირებას; პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციის პროცესი ჯერ არ განხორციელებულა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს მიაწოდეს 2021 უნივერსიტეტის რექტორის წლის 21 ოქტომბერის N01-02/186 ბრძანება სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის თაობაზე, რომლითაც არ არის განსაზღვრული პროცესის დასრულებს ვადები და ჯერჯერობით ჯგუფს არ განუხორციელებია რისკების შეფასება და არ შეუდგენია სამოქმედო გეგმა, მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული ეტაპების მიხედვით კი ვერიფიკატორის შერჩევას წინ უძღვის „ა) ვერიფიკაციის გეგმის შედგენა; ბ) ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევა“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებს არ წარმოუდგენიათ რაიმე ტიპის დოკუმენტი.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ჩატარებული გამოკითხვის ანალიზის შედეგად გაცემული რეკომენდაცია ცხადყოფს, რომ საჭიროა პროფესიული სტუდენტებისთვის შესრულებულ დავალებებთან დაკავშირებით უკუკავშირის მიწოდების სისტემა მათი შემდგომი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა და ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ცდომილებებით. ამგვარად, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის და ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.</u>

<u>სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი საჭიროებს პროცესების - ვალიდაცია და ვერიფიკაცია გამიჯვნას; დასახვეწია შეფასების სისტემა.</u>

<u>ამასთან უმჯობესია განიმარტოს ბსუ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესით დადგენილი შეფასების ქულობრივი სისტემის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამის სისტემაზე - დადასტურდა/არ დადასტურდა გადაყვანის ჩანაწერი, საბოლოო შედეგების გამოსახვისთვის. გაიწეროს შეფასების შედეგების შინაარსობრივი და პროცედურული გასაჩივრების შემთხვევები.</u>

3.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, *„პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები ინახება: (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 თებერვლის N01-02/22 ბრძანებით) ა) ტესტი, წერითი ნაშრომი, შექმნილი პროდუქტი, დაკვირვების ჩანაწერი, ფოტო სურათები, ვიდეო ჩანაწერი, პრაქტიკის დღიური, პორტფოლიო, შევსებული შეფასების სქემა (Checklist), წერილობითი ანგარიშები და შეფასების სხვა მტკიცებულებები - ცენტრში, სტუდენტისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ კი ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით; ბ) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები - ცენტრში, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ გადაეცემა ბსუ-ს კანცელარიას (ბსუ-ს საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად 25 წლის ვადით შენახვის მიზნით)“.*

ამავე რეგულაციის მე-17 მუხლი, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესის შესახებ, განმარტავს ასევე შეფასების მტკიცებულების შენახვის ვადებს და პირობებს:

„2. პროდუქტი, რომელიც არსებობს დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

3. პროდუქტი, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი და სხვა) კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში, შესაძლოა მისი რეალიზაცია, გადაცემა სხვა პირისათვის საქველმოქმედო მიზნებისათვის ან განადგურება დადგენილი წესით ან დარჩება უნივერსიტეტში საგანმანათლებლო მიზნებისათვის“

დაწესებულების წარმომადგნელების განმარტებით, ზემოთხსენებული წესის მე-17 მუხლის მოთხოვნები ეხება სასწავლო პროცესის ფარგლებში განმავითარებელი შეფასების შედეგად მოგროვებულ მტკიცებულებებს. ექსპერტების შეფასებით, <u>წესი გადასახედია სხვადასხვა პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების მკაფიოდ განმარტების/შეუსაბამობის გამორიცხვის თვალსაზრისით.</u>

მარეგულირებელი წესის ჩანაწერი შეფასების ფარგლებში მოგროვებული მტკიცებულებების შენახვის ვადასთან დაკავშირებით - კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წელი, არ ეწინააღმდეგება სტანდარტით განსაზღვრულ პირობას - შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუმცა უწყისების შენახვის ვადა გადასახედია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. ბრძანება ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის თაობაზე;
3. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

13.12.21
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: